ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2019 წლის 28 მარტის რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 01 აპრილის სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2019 წლის 28 მარტის რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი №9

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15

28 მარტი 2019 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა - საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

რუსუდან გიორგაძე- საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

გივი თხელიძე - ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

მალხაზ ფხალაძე - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე,

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

დავით კიკნაძე - საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდომის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე,

პაატა გოგოლაძე -ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე,

აკაკი ლურსმანაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეების“ თავმჯდომარე,

იუზა კელენჯერიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს თავმჯდომარე

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეები:

ქეთევან ზუმბაძე - ფრაქცია „ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარის მოადგილე.

საკრებულოს აპარატი:

ლ.კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი

ნ. თხელიძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი:

არჩილ მაღრაძე- მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

ლაშა გელაშვილი - მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. მაღრაძე - ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ ჟურნალისტი,

მ. ბაბლიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი.

ნ. კაპანაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთის“ ჟურნალისტი.

ლაშა ნიქაბაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ოპერატორი,

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მ. ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და ბიუროს სხდომაზე განსახილველ საკითხთა ნუსხა

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 1 აპრილის სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილებისა და მერის მიერ წარმოდგენილი პროექტების დამტკიცების შესახებ

მომხს: არჩილ მაღრაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის არჩილ მაღრაძის ინფორმაცია საკითხზე - საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილებისა და მერის მიერ წარმოდგენილი პროექტების დამტკიცების შესახებ მან აღნიშნა, რომ სახელმწიფომ განაახლა პროგრამა სოფლის მხარდამჭერი პროექტების, ეს არის ძალიან კარგი, რადგან მოსახლეობა თვითონ იღებს გადაწყვეტილებას რა პროექტი უნდა განხორციელდეს. მოსახლეობასთან შეხვედრების დროს აღმოჩნდა, რომ

რამდენიმე სოფელი იყო გამორჩენილი კერძოდ (მირონწმინდა, ანეულა და ციხის ძირი) ჩვენ დავსვით საკითხი შესაბამისი უწყებების წინაშე ველოდებით დადებით პასუხს და შესაბამის თანხას თუ პასუხი დადებითი არ იქნება ჩვენი ბიუჯეტიდან ამ სოფლებში განვახორციელებთ პროექტებს

დ. კიკნაძემ აღნიშნა, რომ ასევე არსებობს დასახლება დაბაში პატარა ხარაგაულის სახელწოდებით, სადაც მოსაწყობია წყარო თუ ეს შესაძლებელი იქნება დავსვათ მისი აღდგენის საკითხიც.

პ.გოგოლაძემ დ. კიკნაძის საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ მას აღნიშნულ საკითთან დაკავშირებით ჰქონდა საუბარი საქსტატისტიკის წარმომადგენელთან და მივიღეთ პასუხი, რომ გამოყოფა არ ხდება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

ა. ლურსმანაშვილმა აღნიშნა, რომ საქარიქედში მოსახლეობასთან შეხვედრის დროს მოსახლეობამ მოითხოვა ჭაბურღილის გაკეთება აქ ჩამონათვალში არ ჩანს.

ა. მაღრაძემ განმარტა რომ ჭაბურღილების მოწყობა ჯდება ძალიან ძვილი 1მლნ 200000 ლარი და აქედან გამომდინარე ეს არის ძალიან დიდი ფუფუნება და ვერ გავითვალისწინეთ მოსახლეობის მოთხოვნა. სოფლის პროექტების შესყიდვა მოხდება გამარტივებული წესით შერჩეულია 2 პროექტანტი.

მ. ფხალაძემ აღნიშნა, რომ ხონში არის 6 საუბნო გზა კატასტროფულ მდგომარეობაში შეიძლებოდა 10 000 ლარი თანადაფინანსებით გამოგვეყო.

ა. მაღრაძემ უპასუხა, როცა მოვა პროექტები 11000 ათას ლარს გამოვყოფთ ოღონდ დაგვჭირდება თქვენი მხარდაჭერა.

მ. ბარბაქაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, როდის დაიწყება პროექტირება.

ა. მაღრაძემ განმარტა, რომ მოსახლეობა თვითონ აფორმებს ხელშეკრულებას დამპროექტებელთან და სავარაუდოდ პროცესი 1 აპრილიდან დაიწყება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2019 წლის 1 აპრილის სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით დაავალა კომისიებს საკითხის კომისიის სხდომაზე განხილვა.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2019 წლის 1 აპრილის სხდომის დღის წესრიგში.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 1 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 01 აპრილის სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: დავით დევდარიანი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს:ნინო მაღლაკელიძე

4.საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილებისა და მერის მიერ წარმოდგენილი პროექტების დამტკიცების შესახებ

მომხს: თემურ თაბუკაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე